ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2460941

ნომერი: AR1380829

თარიღი : 23.02.2016

გაცემის თარიღი : 01.03.2016

გაცნობის თარიღი : 20.03.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის V მ/რ-ის ჩრდილოეთით / ქალაქი თბილისი , ნუცუბიძის ფერდობი , V მ/რ -ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ხომერიკი პ/ნ 01009011858
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ V მ/რ კორ. 6 ბ. 35

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი #AR1380829 ელექტრონული განაცხადი, რომლითაც ეწინააღმდეგებით ქ. თბილისში, ნუცუბიძის V მ/რ-ის ჩრდილოეთით / ნუცუბიძის ფერდობი V მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.14.01.001.120), ქალაქმშენებლობითი პარამერტების გაზრდას და მრავალბინიანი საცხოვრებელი

სახლის მშენებლობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ 2015 წლის 15 თებერვალს #AR1378478 ელექტრონული განცხადებით სამსახურს მომართა მოქალაქე ალექსანდრე კოღუამ და მოითხოვა ქ. თბილისში, ნუცუბიძის V მ/რ-ის ჩრდილოეთით / ნუცუბიძის ფერდობი V მ/რ-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.14.01.001.120) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა და ქალაქმშენებლობითი პარამერტების გაზრდა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, #2443232 გადაწყვეტილებით სამსახურის მიერ მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა და ქალაქმშენებლობითი პარამერტების გაზრდა არ მომხდარა.

ამასთან გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ზემოაღნიშნულ მისამართზე (თქვენს მიერ რუკაზე მონიშნულ ტერიტორიაზე) სამსახურში ამ ეტაპზე ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს.

თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

აღნიშნული ობიექტის სამშენებლო განვითარებასთან დაკავშირებით თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის (#01.14.01.001.120) მითითების შემთხვევაში.